ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№24
(გაერთიანებული, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან)

ქ. თბილისი; 29 ივნისი, 2018 წ. 12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
თინათინ ნიბლოშვილი
დავით ჭელიძე
ელენე ოზაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობის საქალაქო სამსახურის უფროსი - გიორგი ბაკრაძეები

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - გიორგი კიკვიძე

სამგორის რაიონის გამგებელი - კახაბერ გულედანი

სამგორის რაიონის გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი იადონიძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე - თამარ მათიაშვილი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისში, ეუკიძე ბერიძის ქ. #2-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკადასტრო კოდ(ებ)ი: #01.15.05.061.005.05.501; #01.15.05.061.005.05.502; #01.15.05.061.005.05.504; #01.15.05.061.005.05.505; # 01.15.05.061.005.05.507; # 01.15.05.061.005.05.508) ყოფილი სახიანი სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის, უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „ქ. თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N24ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.021.028) მდებარე ოქრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №18.414.680 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. “ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონში, ზემო პლატოზე არსებული 6853 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.175) გაცვლის ფორმით პრივატიზების თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 25 ივნისის N18.436.726 განკარგულებაზე თანხმობის გაცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, 2018 წლის 1 ივლისიდან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77^1 (აკუსტიკური ხმაურის დასაშვები სიმაღლის გადამეტება) და 77^2 (ღამის საათებში პიროტექნიკური წაკეთობის გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შესაბამის ოქმებს შეადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური.

მომხსენებლის თქმით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა, აღნიშნული ცვლილებით გათვალისწინებული ფუნქციების ასახვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის **N20-95** დადგენილებაში, რომლითაც განსაზღვრულია ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილება, ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე შეადგინოს შესაბამისი ოქმები

აზრი გამოთქვეს:

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - **ირაკლი ზარქუა** დაინტერესდა, ღამის საათებში, ხმაურის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან განხორციელებული რეაგირების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის - **გიორგი ბაგრატიონის** თქმით, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, ზედამხედველობის სამსახურში აქტიურად მიმდინარეობს სამუშაო პროცესი, რომლის დარეგულირებაში მნიშვნელოვანი იქნება, პრაქტიკაში გამოვლენილი, როგორც ერთჯერადი, ასევე, განგრძობითი ხასიათის ხმაურის ფაქტები.

გიორგი ბაგრატიონმა იქვე დაამატა, რომ პირველ ეტაპზე განხორციელდება, სხვადასხვა ობიექტის (რესტორანი, კაფე-ბარი) გაფრთხილება, ხმაურთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრის - **ლევან დარახველიძის** თქმით, წარმოდგენილ საკითხთან მიმართებაში ყურადსაღებია, საცხოვრებელ კორპუსებთან ახლოს მდებარე სააღმყოფოები, რომლებსაც გააჩნიათ დიდი ზომის ხმაურიანი გენერატორები.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - **ლევან ჟორჟოლიანის** განმარტებით, თავისი აზრით, წარმოდგენილი საკითხის დარეგულირების

მიზნით, შესაძლოა, მომავალში საჭირო გახდეს, გარკვეული ტიპის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება

ლევან ჟორჟოლიანმა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ასევე აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

? ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ თამარ მათიაშვილმა კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქ. #2 ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკადასტრო კოდ(ებ)ი: #01.15.05.061.005.05.501; #01.15.05.061.005.05.502; #01.15.05.061.005.05.504; #01.15.05.061.005.05.505; #01.15.05.061.005.05.507; #01.15.05.061.005.05.508) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის, ყოფილ ბინათმონაცემებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის #419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

თამარ მათიაშვილმა ასევე განმარტა, რომ ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტი ეტაპობრივად აკმაყოფილებს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებს. ამჯერად, წარმოდგენილი პროექტით ხდება, ვუკოლ ბერიძის ქ. #2-ში მდებარე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების, ყოფილი

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის/მათი წარმომადგენლებისთვის, უფლება მონაცვლეებისთვის სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემა

მომხსენებელმა დაამატა, რომ აღნიშნული პირები არინ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ოჯახები (6 ოჯახი), რომლებიც საცხოვრებლად შეიჭრნენ ზემოხსენებულ მისამართზე არსებულ ფართებში.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარემ - ირაკლი ნადირაძემ დადებითად შეაფასა კოოპერატიული ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების პროცესის გააქტიურება და განაცხადა, რომ ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადასაცემი უძრავი ქონება უნდა იყოს, მათ მიერ, კოოპერატიული ბინათმშენებლობის ფარგლებში დაკარგული აქტივის შესაბამისი.

ბატონი ნადირაძის თქმით, ზემოაღნიშნული პირები კოოპერატიული ბინათმშენებლობის ფარგლებში, ბინებს ყოფილ ბინათმშენებლებს თბილისის გარეუბნებში, შესაბამისად, მათთვის, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე შენობაში განთავსებული ფართების გადაცემა, არასწორი და არასამართლიანია.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა სრულად გაიზიარა ირაკლი ნადირაძის მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, აღნიშნული პირების დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონებიდან გამოსახლების შემთხვევაში, დაიწყება დრეიში გაწელილი, სასამართლო პროცესები, ხოლო სახელმწიფოს კვლავ დარჩება ვალდებულება, აღნიშული პირები, როგორც კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულები, დააკმაყოფილოს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით.

ლევან ჟორჟოლიანმა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფოს მხრიდან ასევე სათანადო რეაგირების განხორციელებას მოითხოვს ზემოხსენებულ ობიექტზე მათი უკანონოდ შეჭრის საკითხიც.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ირაკლი ზარქუამ დააფიქსირა თავისი მოსაზრება, და განმარტა, რომ აღნიშნული უძრავი ქონება მდებარეობს თბილისის ცენტრალურ უბანში და წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ქონების მნიშვნელოვან ნაწილს. ბატონმა ირაკლიმ მიმართა თამარ მათიაშვილს და სთხოვა, რომ ქონების მართვის სააგენტოს მხრიდან განხორციელდეს აღნიშნულ პირებთან მოლაპარაკება, სხვა, ალტერნატიული ფართების შეთავაზების მიზნით.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი საკითხის გადადების შესახებ, რასაც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს:

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების ძართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - თამარ მათიაშვილმა კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N24ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის #18.414.680 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N24ა-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად იმ პირთათვის (27 პირი) საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

თამარ მათიაშვილმა თქმით, აღნიშნულ მისამართზე, ორგანიზაციის (სპეციტექნიკის ქარხანა) მიერ, თავისთან დასაქმებული პერსონალის დაკმაყოფილების მიზნით, ხორციელდებოდა ე წ „უწყებრივი ბინების“ აშენებლობა. ხოლო ის შემდგომ, რაც ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მხრიდან ვერ მოხერხდა მშენებლობის დასრულება, დაზარალებულმა პირებმა, თავიანთი სარჯებით დაასრულეს შენობა და გახადეს კორპუსი საცხოვრებლად ვარგისი.

მომხსენებელმა დაამატა, რომ საკითხთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილია სამგორის რაიონის წერილობითი შუამდგომლობა.

აზრი გამოთქვეს:

სამგორის რაიონის გამგეობის იურიდიული გახყოფილების უფროსი - ირაკლი იადონიძემ დეტალურად ისაუბრა საკითხთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ საქართველოს ეროვნული არქივიდან წარმოდგენილი ჩანაწერებით, დასტურდება, ყველა იმ პირების ვინაობა, რომლებიც არიან აღნიშნული მშენებლობით დაზარალებულები და საკუთრებაში გადაეცემათ ზემოაღნიშნული ფართები.

სამგორის რაიონის გამგებელმა - კახაბერ გულედანმა მიმართა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს და განაცხადა, რომ პირადად შეხვდა დაზარალებულ პირებს, რომლებმაც გამოხატეს მადლიერება საკრებულოს დეპუტატების მიმართ, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის გამო.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ქ. თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N24ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - თამარ მათიაშვილმა კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონში, ზემო პლატოზე არსებული 6853 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.175) გაცვლის ფორმით პრივატიზების თანხმობის გაცემის თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 25 ივნისის N18.436.726 განკარგულებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, შპს „კა-3“-ის დირექტორმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა, ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონში არსებული 6853 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მისი კომპანიისათვის გადაცემა, კომპანიის საკუთრებაში არსებული: ქ. თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონის ბოლოს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მიმდებარედ არსებული 5495 კვ.მ მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ.

თამარ მათიაშვილის თქმით, ხსენებულმა კომპანიამ აღნიშნული 5495 კვ.მ მიწის საკვეთი, შეზღუდულ საკუთრებაში, სამშენებლოდ მიიღო, ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 2015“ თან გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის წევრები წარმოადგენენ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებულ პირებს.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ზემოხსენებული კომპანიის მხრიდან ამხანაგობის წევრთა წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, აუცილებელი გახდა 5495 კვ.მ მიწის ნაკვეთის პარამეტრების გაზრდა, რის თაობაზე, მშენებლობით დაინტერესებულმა პირებმა, არაერთხელ მიმართეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს, თუმცა აღნიშნულზე ეთქვათ უარი, ვინაიდან მიუღებლად იქნა მიჩნეული წარდგენილი ინტენსივობით და მოცულობით ტერიტორიის განვითარება.

ქალბატონი მათიაშვილის თქმით, საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის პოზიცია, რომლის თანახმად 5495 კვ.მ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ასევე, ამ ეტაპზე, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და სხვა ქალაქმშენებლობითი პირობების არსებობიდან გამომდინარე, სამსახურმა შეუძლებლად მიიჩნია დაინტერესებულ პირთა მხრიდან შეთავაზებული წინადადების შესაბამისად მიწის ნაკვეთის განვითარება.

მომხსენებელმა დაამატა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნებით, განისაზღვრა გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებები და დადგინდა 6853 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, საპრივატიზებო საფასური - 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი, რომლის გადახდა უნდა განხორციელდეს პრივატიზების საგნის ტერიტორიაზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემიდან რვა თვის ვადაში.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონში, ზემო პლატოზე არსებული 6853 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.175) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ კომპანიასთან შპს „კა 3" (ს/კ 436040320) ცასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე."

საჯარო ლექციის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საქართველოს საფეხურებში, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს **N21-85** დადგენილებით დამტკიცებული წესის მიოიოება უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის საკრებულოს **2015** წლის **12** აგვისტოს **N21 85** დადგენილებით დამტკიცებული წესის <u>მე 2</u> მუხლის მე **3** და მე **4** პუნქტისა და მე **5** მუხლის მიხედვით"

ვინაიდან, აღნიშნული წესის მე-**2** მუხლის მე-**3** პუნქტის მიხედვით, გაცვლის ფორმით პრივატიზება შეიძლება განხორციელდეს როგორც საპრივატიზებო საფასურით, ასევე საპრივატიზებო საფასურის გარეშე. მე-**4** პუნქტის მიხედვით კი, თუ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება გასაცვლელი ქონების საბაზრო ღირებულებას, გაცვლის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საპრივატიზებო საფასურით, აუდიტორული (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობით.

ხოლო, წესის მე-**5** მუხლის მიხედვით:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონება შესაძლებელია საკუთრებაში გადაეცეს ფიზიკურ ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირს მის საკუთრებაში არსებული ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ (გაცვლა);

- ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით;

- გაცვლის ფორმით პრივატიზებით, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება სხვა ქონების თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ ხელშეკრულების გაფორმებით, რომელსაც ქ. თბილისის მთავრობის სახელით დებს სააგენტო, ქ. თბილისის საკრებულოს თანხმობის გაცემიდან 3 თვის ვადაში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა **ელენე ოზაშვილმა.**

წინააღმდეგი - ფრაქციის „ერთიანი საცოხალოური მოძრაობა" წევრი **ლილე ლიპარტელიანი.**

სოციო, იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დაწარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შესაბამისის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **ნინო ჯალაღანია**